ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 156 (19598) ◆ კვირა, 6 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲒᲝᲕᲔᲑᲡ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲕᲘᲛᲐᲞᲚᲘ

ᲕᲗᲘᲒᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲗᲘᲒᲝᲗ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ!

ᲐᲦᲐᲚᲡ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ ᲐᲦᲐᲚᲘ

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ კოკისპირულმა წვიმებმა საკმაო ზარალი მიაყენა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობას, განსაკუთრებით ცხინვალისა და ლენინგორის რაიონებს. დაიტბორა და დაზიანდა პურეულის, შაქრის ჭარხლისა და ბოსტნეულის ნათესები ერედვის, არცევის, ხეთაგუროვის, ლენინგორის საბჭოთა მეურნეობებში, კეხვის, აჩაბეთის, ავნევის კოლმეურნეობებში...

წვიმებით ნათამამები ბალახი მიწაზე წვება, მისი აღება-დაბინავება ძნელდება. მაგრამ ბუნების ჭირვეულობას ორგანიზებულ შრომას უპირისპირებენ სოფლის მეურნეობის მოჭირნახულენი. ერთი საათითაც თუ იდარა, მინდვრად გადიან, რომ დაჩქარონ ბალახის დიდი მოსავლის აღებ-დაბინავება.

ერთსულოვანი დარაზმულობა ვიხილე არცევში, ცხინვალის რაიონის ერთ-ერთ მსხვილ საბჭოთა მეურნეობაში. რომ იტყვიან, ქუდზე კაცი იყო გამოსული ბალახის სათიბად. მეურნეობის დირექტორი ნ. ტერაშვილი და მთავარი აგრონომი ა. ჭამპურიძე თავს დასტრიალებენ, ახალისებენ მთიბავებს.

— ბალახის დიდი მოსავალია, პირუტყვს უხვად ექნებაო საკუთარი წარმოების უუთაოანი საკვები, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა.

მექანიზატორები თიბავენ ერთწლოვანი ბალახის ნათესებს. ისე ხშირი და სქელია ბალახი, სათიბ მანქანას უჭირს ჭრა. აგრეგატს ოსტატურად მართავს გამოცდილი მექანიზატორი ლევან დოგუზოვი. დიდმწარმოებლურად მუშაობს აგრეგატი. დაკეპილი ბალახის მასით ივსება ავტომანქანის ძარა. აღალი აღალზე მიდის სასენაჟე ორმოსაკენ. მუშები ალექსი ვალიევი, ხარიტონ მედოევი და სხვები სწრაფად შლიან ბალახის მასას. ლონგი კაზიევი კი თავისი „დტ“-75 ტრაქტორით საგულდაგულოდ ტკეპნის... მზე ერთსულოვანი დარაზმულობა ვიხილე [illegible] ᲐᲦᲐᲚᲘ

[illegible] ᲑᲘᲚᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

[illegible] ᲐᲦᲐᲚᲘ

[illegible] ᲑᲘᲚᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

შუბის ტარზე იყო, რომ 500-ტო[illegible] ᲐᲦᲐᲚᲘ [illegible] ᲑᲘᲚᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ [illegible] ᲐᲦᲐᲚᲘ [illegible] ᲑᲘᲚᲐᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ [illegible]

— მთის სათიბებსაც მაქსიმალურად გამოვიყენებთ, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი ნ. ტერაშვილი. იქ დავამზადებთ 500 ტონა ბუნებრივ თივას, რომელსაც ძირითადად მოზარდეულის საკვებად გამოვიყენებთ. შექმნილია საკვებმომპოვებელთა იჯარული ბრიგადები. ივნისის ბოლოს მთაში წავიდა სათიბელებითა და ცელებით აღჭურვილი საკვებმომპოვებელთა ლაშქარი.

1300 სულ პირუტყვს რომ უხვად ჰქონდეს საკვები და კეთილმოწყობილი სადგომები, ამისათვის ზრუნავს მეურნეობის ხელმძღვანელობა.

და განა მარტო არცევში, საკვების დამზადებას ენერგიულად შეუდგნენ ოლქის ბარის მეურნეობები. სენაჟის ჩასადებად თავდადებით შრომობენ ერედვის, ხეთაგუროვის, ჯავის, წინაგრის საბჭოთა მეურნეობებში. მიზანი ნათელია — ერთი მტკაველი ბალახიც არ დარჩეს გაუთიბავი. ყოველი ხელსაყრელი დღე მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ, რომ ბუნების ჭირვეულობა დაჯაბნონ, თითოეულ სულ პირუტყვს ჰქონდეს 16-17 ცენტნერი საკვები ერთეული. ასეთია ახლა ოლქის სოფლის მშრომელთა უპირველესი საზრუნავი.

გ. თედეევი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲓᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐᲡ — ᲓᲔᲙᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲔᲗᲔᲠᲗᲛᲔᲢᲔ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲡᲘᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

Ჯ. ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ ფოტო.

ᲣᲦᲠᲝ სწრაფი წინსვლის, აღმშენებლობის ახალი მიჯნების მიღწევისადმი მისწრაფება განსახორციელებს საბჭოთა საქართველოს შრომითს რიტმს. რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, გაჩაღდა დაძაბული მუშაობა სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში უკვთესობისაკენ რადიკალური შემობრუნების უზრუნველსაყოფად.

გარდაქმნა, რომელიც ყველგან ხორციელდება, განსაზღვრავს შემოქმედებითს მიდგომას საქმისადმი, მეტ ძალისხმევას, რათა წარმატებით შესრულდეს ხუთწლედის გეგმები და ეალდებულებები, რაც პარტიის სტრატეგიულ მიზანდასახულობათა ერთიანობაციის გადამწყვეტი პირობაა. ეს შემართება ცხადყო ადგილებზე მუშაობის გარდაქმნის შესახებ კონკრეტულმა წინადადებებმა, შენიშვნებმა, სურვილებმა, რომლებიც მიღებული დეპუტატების, შრომითი კოლექტივების, ყველა ამომრჩევლისადმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვის პასუხად. რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სესიის წინ მუშები და კოლმეურნეები, მეცნიერები და კულტურის მოღვაწენი აქტიურად მონაწილეობდნენ მის მომზადებაში და გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი განსაბილველ საკითხთა არსზე.

მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ უზრუნველყონ პარტიის ნოვატორული კურსის, წესი და ღღით გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება, შეიკრიბნენ საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თავიანთ მესამე სესიაზე. მის პირველი სხდომა გაიხსნა 5 ივლისს დილის 10 საათზე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი **ი. ბ. აბაშიძე**, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ე. ჩ. კვარჩია, ა. ქ. ღალიშვილი** და **ბ. ბ. ტეხოვი.**

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები **ჯ. ი. პატიაშვილი, ვ. ი. ალავიძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ა. ანჩაბაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ა. ნ. ინაური, კ. ა. კოტეტოვი, გ. დ. მგელაძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ტ. ვ. როსტომაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ბ. ვ. ადლეიბა, გ. გ. გუმბარიძე, ტ. ვ. ლორთქიფანიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ბ. ა. მალკოვი**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკი **ბ. ვ. სმირნოვი**, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ბ. აბაშიძემ.**

შეკრებილებმა ფეხზე ადგომით პატივი სცეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვ. რ. ემნაძის სსოვნას, რომელიც სესიებს შუა პერიოდში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ **შ. ვ. უარყარაშვილის** მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ.

რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა ცნონ უფლებამოსილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა: **გ. დ. ლორქიფანიძისა,** რომელიც არჩეულია ახმეტის რაიონის ახმეტის საარჩევნო ოლქში; **შ. ვ. გოგოლაძისა** — ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის ანაპის 414-ე დივიზიის საარჩევნო ოლქში; **კ. კ. აბულაძისა** — ქალაქ თბილისის საბურთალოს რაიონის დოლიძის საარჩევნო ოლქში; **მ. ი. წიკლაურისა** — მცხეთის რაიონის წეროვნის საარჩევნო ოლქში; **დ. გ. ჩუბინიშვილისა** — ქალაქ გორის ლენინის საარჩევნო ოლქში; **შ. გ. შანიძისა** — ახალციხის რაიონის აწყურის საარჩევნო ოლქში; **ა. ა. ოსიპოვისა** — წალკის რაიონის ბედიანის საარჩევნო ოლქში; **ზ. ა. ტუშურიასა** — თიანეთის რაიონის თიანეთის საარჩევნო ოლქში; **ო. ო. მაისურაძისა** — ლაგოდეხის რაიონის ბაისუბნის საარჩევნო ოლქში; **დ. ვ. მანჯგალაძისა** — ქალაქ ჭიათურის ზოდის საარჩევნო ოლქში; **რ. ბ. მემარნიშვილისა** — მახარაძის რაიონის ბახვის საარჩევნო ოლქში; **ა. რ. სანებლიძისა** — ზუგდიდის რაიონის დარჩელის საარჩევნო ოლქში; **ვ. რ. ასათიანისა** — ზუგდიდის რაიონის ნარეხენის საარჩევნო ოლქში.

დეპუტატებმა ერთსულოვნად დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მისი მუშაობის წესი.

სესიის განსახილველად გამოტანილია შემდეგი საკითხები:

1. ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 12 აპრილის ბრძანებულებისა და ამხ. დ. ლ. ქართველიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 12 აპრილის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

შემდეგ ორატორი შეეხო გადაუდებელ ამოცანებს, რომლებიც დასახულია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინაშე მუშაობის ახალ პირობებთან დაკავშირებით, როცა პარტია დაადგა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების კურსს, საბჭოთა საზოგადოება ამოძრავდა ყველა სფეროში — პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სულიერ სფეროებში და შეფასებთა მთავარი კრიტერიუმი ხდება განვითარების დინამიკური ტემპის მიღწევა, ეფექტიანობის საუკეთესო მაჩვენებლები, სერიოზული პოზიტიური ცვლილებანი სოციალურ სფეროში.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება ამხ. ო. ე. ჩერქეზიას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 12 აპრილის ბრძანებულებისა და ამხ. ჯ. ი. პატიაშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის შესახებ;

3. ცვლილებანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობაში;

4. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წინაშე სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობა;

5. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმა;

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება;

დღის წესრიგის პირველ საკითხზე სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ჯ. ი. პატიაშვილს.** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით მან შემოიტანა წინადადება ამხანაგ **ო. ე. ჩერქეზიას** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნისა და ამ საკითხზე მიღებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1986 წლის 12 აპრილის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ.

ᲒᲐᲜᲘᲨᲕᲜᲐ ᲛᲘᲦᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ

4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ მოსკოვში გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი. პლენუმზე განიხილეს სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მორიგი XVIII ყრილობის მოწვევის საკითხი, აგრეთვე პროფკავშირთა ამოცანები მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

მოხსენება პირველ საკითხზე გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ს. ა. შალაევმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მზადება XVIII ყრილობისათვის და საანგარიშო-საარჩევნო კამპანია, რომელიც მას წინ უძღვის, უნდა გახდეს სკკპ XXVII ყრილობის შემდეგ პროფკავშირების მიერ გაწეული მუშაობის ნამდვილი დათვალიერება. დღეს ძირითადი ამოცანა ის არის, რომ გავაძლიეროთ პროფკავშირთა ზემოქმედება ეკონომიკის განვითარებაზე, მათი აქტიურობა წარმოების ინტენსიფიკაციისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისათვის საერთო მუშაობაში, უფრო მტკიცედ და პრინციპულად განვახორციელოთ პარტიის სოციალური პოლიტიკა, დავამკვიდროთ დინამიკური სტილი, რომელიც შეეესაბამება დროის სულისკვეთებასა და პროფესიული კავშირების დემოკრატიულ ბუნებას.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის პროფესიული კავშირების XVIII ყრილობა მოიწვიონ 1987 წლის 24 თებერვალს.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი კ. ტურისოვი. მან აღნიშნა, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას საბჭოთა კავშირის მშრომელებისადმი და „ეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სკკპ XXVII ყრილობის იმ სტრატეგიულ მითითებათა რეალიზაციისათვის, რომელთა მიზანია მტკიცე გარდატეხა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. განიხილეს შეჯიბრების გარდაქმნის, რაოდენობრივიდან ხარისხობრივ მაჩვენებლებზე, შეალედურიდან — საბოლოო შედეგებზე მისი ხელახალი ორიენტაციის გზები.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საკავშირო პროფსაბჭოს მდივნად და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს მ. ვ. მიშინი, რომელიც დღემდე სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად მუშაობდა.

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ არჩევასთან დაკავშირებით კ. ი. მაკკაევიჩიუსი გათავისუფლებულია საკავშირო პროფსაბჭოს მდივნის მოვალეობისაგან.

პლენუმმა ლ. ა. ზემლიანიკოვი გათავისუფლა საკავშირო პროფსაბჭოს მდივნისა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით.

(საკდისი).

ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲘᲓᲔᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის საზეიმო დახურვა

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ, თანამშრომლობის, გაბედული შემართებისა და მხატვრული ძიების ატმოსფეროში ჩაიარა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მოსკოვის VIII საერთაშორისო კონკურსმა, რომლის საზეიმო დახურვა გაიმართა 4 ივლისს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. აქ შეიკრიბნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, კულტურის მოღვაწენი, საზღვარგარეთელი სტუმრები.

ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს მ. ს. გორბაჩოვს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ი. კ. ლიგაჩოვს.

საადღესასწაულო ცერემონია გახსნა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ტ. ნ. ხრენნიკოვმა. მან გულთადად მიულოცა დათვალიერების ლაურეატებს, საერთაშორისო ჟიურის წევრებს, მუსიკის ყველა მოყვარულს დათვალიერების წარმატებით დამთავრება, რომელმაც ათასობით ადამიანს განაცდევინა ხელოვნებასთან ურთიერთობის შთაგონებული წუთები. ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ მოსკოვის კონკურსი ხელს შეუწყობს ხალხთა ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის განმტკიცებას, წვლილს შეიტანს მშვიდობისა და მეგობრობის კეთილშობილურ საქმეში.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ლაურეატებსა და დიპლომანტებს გადაეცათ VIII საერთაშორისო კონკურსის სპატიო ჯილდოები. გამარჯვებულებს მიესალმნენ ჟიურის თავმჯდომარეები, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ი. კ. არხიპოვა დ. ბ. შაფრანი, ა. ი. ეშპაი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ვ. ტრეტიაკოვი.

ლაურეატთა სახელით გამოვიდნენ საბჭოთა მომღერალი ნატალია ერასოვა და დიდბრიტანელი პიანისტი ბარი დუგლასი. მათ მხურვალე მადლობა გადაიხადეს კონკურსის დიდებული ორგანიზაციისათვის და განაცხადეს, რომ პირნათლად ატარებენ მისი ლაურეატების წოდებას.

დასასრულ გაიმართა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VIII საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიების მფლობელთა კონცერტი. (საკდისი).



ᲒᲣᲨᲘᲜ, 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝᲓ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲐᲠᲔᲯᲨᲝᲒᲐᲜᲘ

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲓ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲔᲚᲝᲓ

ᲡᲐᲣᲗᲐᲕᲘᲡᲚᲐ არ იქნება მოკლებული, თუ ვიტყვით, რომ კეთილ ნების ასპარეზობანი რადაც ახალი და განსაკუთრებულია ჩვენი დედამიწის ამ მშფოთვარე, გამალებული შეიარაღებისა და ამასთან ერთად ჩვენს პლანეტაზე მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის დღეებში. ᲛᲘᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ დიდი და ნაყოფიერი მუშაობა გასწია კეთილი ნების ასპარეზობათა მასპინძელმა საბჭოთა ქვეყანამ იმისათვის, რომ საოცრად მოკლე ხანში ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა მეგობრობისა და ურთიერთგაგებისათვის მოწოდებულ ახალგაზრდობას. და ასეც მოხდა, მოსკოვის ყველა სპორტულ ბაზაზე გამოცხადებულია № 1 მზადყოფნა. ერთი სიტყვით, ყველა სარბიელი ჩანებულ მდგომარეობაშია და თანამედროვე მოთხოვნებს რომ შეესატყვისება, ტექნიკურად ისე არის აღჭურვილი. ყოველივე ეს დადასტურდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-კონფერენციებისათვის განკუთვნილ კონფერენცდარბაზში. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ ასპარეზობისათვის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებისა და ამშ ერთ-ერთი უდიდესი ტელეკომპანია ტი-ბი-ესის პრეზიდენტ ტედ ტერნერის ბორიგი შეხვედრის დროსაც, პრეს-კონფერენციაზე სსრ კავშირის სპორტსახკომის თავმჯდომარემ შარატ გრამოვმა და ტედ ტერნერმა ამომწურავი პასუხი გასცეს ჟურნალისტების მრავალ შეკითხვას.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-4 ᲒᲒ.).

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ



ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ „საბჭოთა საქართველომ“ ქართულ ენაზე მასობრივი ტირაჟით გამოუშვა სკკპ XXVII ყრილობის მასალების კრებული.

წიგნში შევიდა ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, რომელიც გაკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა, ყრილობის დადგენილებანი კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციისა და პარტიის წესდების ცვლილებათა შესახებ, აგრეთვე ყრილობის მიერ დამტკიცებული ამ დოკუმენტების ტექსტები.

გამოქვეყნებულია ყრილობის რეზოლუცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენების გამო; სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში, სამანდატო კომისიის მოხსენება. დაბეჭდილია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ი. რიჟკოვის მოხსენება „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა შესახებ“, დადგენილება ჩვენი ქვეყნის განვითარების ძირითად მიმართულებათა შესახებ და ყრილობის მიერ დამტკიცებული ამ დოკუმენტის ტექსტი.

დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობანი, რომლებიც აირჩია ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა ფორუმმა, საინფორმაციო ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვა ყრილობის დახურვისას, აგრეთვე სხვა მასალები.

კრებული დაიბეჭდა საქართველოს სსრ გამსახკომის წიგნის ფაბრიკაში. (საკინფორმი).

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ ᲞᲚᲣᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის შედეგების შესახებ ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების

სანიმუშო თემატიკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი პარტიის XXVII ყრილობის გენერალური გეზის რეალიზაციისათვის გამიზნული მოქმედების კონკრეტული პროგრამაა.

თანამედროვე საზოგადოებრივი განვითარების თავისებურებანი, ყრილობისშემდგომი მუშაობის პირველი შედეგები და გაკვეთილები.

არ დავკარგოთ დრო, დავიჩქაროთ წინსვლის მოძრაობის ტემპი, უფრო გამბედულად მოვიშოროთ თავიდან ყველაფერი, რაც ხელს უშლის ინიციატივასა და შემოქმედებას — ეს პლენუმის მთავარი მითითებაა.

გარდაქმნას — საყოველთაო, საქმიანი, შეუქცევადი ხასიათი.

მეთორმეტე ხუთწლედი გადამწყვეტი ეტაპია პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციაში.

სოციალიზმის სოციალური სამართლიანობა შეკუნთამით უმაღლეს ეკონომიკურ ეფექტიანობას — ეს ისტორიული მნიშვნელობის აქტია.

მეთორმეტე ხუთწლედის სოციალური პროგრამა დიდი ნაბიჯია ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების გზაზე.

წარმოების ეფექტიანობის ძირეული გადიდება ხუთწლიანი გეგმის საფუძველია.

მეთორმეტე ხუთწლედი სახალხო მეურნეობაში ძირეულ გარდაქმნათა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საძირკველია.

მანქანათმშენებლობას — ენერგიული განვითარება.

საინვესტიციო და სტრუქტურული პოლიტიკის ხელახალი ორიენტაციის მთავარი მიმართულებანი.

საწარმოო ფონდების კარდინალური განახლება ეკონომიკის თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების გზაა.

მოქმედი წარმოების ტექნიკური განახლების დაჩქარება ახალი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი საკითხია.

ლენინგრადელთა ინიციატივას — აქტიური მხარდაჭერა, საყოველთაო გავრცელება.

ყაირათიანად გავწიოთ მეურნეობრიობა, უნარიანად ვმართოთ!

ფართო გზა თვითთანაწილაურებასა და თვითდაფინანსებას.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება საერთო-ეროვნული ამოცანაა.

რესურსდაზოგვა ნედლეულზე, მასალებზე, სათბობზე, ელექტროენერგიაზე მზარდ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების გადამწყვეტი წყაროა.

მფლანგველობასთან ბრძოლა, მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმი გადაუდებელი ამოცანაა.

აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარება და სასურსათო პროგრამის რეალიზაცია მეთორმეტე ხუთწლედში.

ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენება მინდვრებისა და ფერმების დიდი პროდუქტიულობის გზაა.

სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის ეკონომიკური მეთოდები.

ვიაროთ წინ ხარჯვითი სამეურნეო შეკანონმდებლობის გზით.

მასების შემოქმედება დაჩქარების გადამწყვეტი ძალაა.

სოციალური სამართლიანობა, დემოკრატიის განვითარება, სრული საჯაროობა ადამიანის ფაქტორის გააქტიურების გზაა.

შემობრუნება ადამიანებისაკენ, ცოცხალი საქმისაკენ პარტიული მუშაობის ძირეული გარდაქმნის არსია.

მშრომელთა მოწინავე გამოცდილებას, ინიციატივებს — პარტორგანიზაციათა აქტიური მხარდაჭერა.

ხელმძღვანელობის პოლიტიკური მეთოდების თვისება პარტიული კომიტეტების გადაუდებელი ამოცანაა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების დამოუკიდებლობის, მებრძოლურობის, შეტევითობის გაძლიერება გარდაქმნის მთავარი რგოლია.

შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი, საქმეებში მოდუნებისადმი, პარადულობისა და ფუჭსტყვაობისადმი მუშაობის თანამედროვე სტილის განუყოფელი ნიშანია.

კრიტიკას — პრინციპულობა, კონსტრუქციულობა, ზუსტი მისამართი.

აქტიური - საკადრო პოლიტიკა დაჩქარების აუცილებელი პირობაა.

გავუფრთხილდეთ პარტიის ღირსებას და არა მუნდირის ღირსებას.

არ შევანელოთ მეცადინეობა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოველნაირად დავუჭიროთ მხარი და წავახალისოთ პატიოსანი და კეთილსინდისიერი შრომა, შეურიგებლად ვიბრძოლოთ უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ.

გაზრდილი მოთხოვნები იდეოლოგიური მუშაობისადმი.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია.

გაზეთი პარტიული კომიტეტის სახეა.

სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებანი ქმედითი სტიმულია მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ თანამედროვე მსოფლიოს რეალობათა უარყოფა ძალაზე, ბირთვულ მუშტზე, ტერორისტულ რბევაზე იმედის დამყარებაა.

საბჭოთა ინიციატივები მძლავრი დაბრკოლება რეაქციული ძალების იმპერიული ზრახვების განხორციელების გზაზე.

ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის ბუდაპეშტის თათბირის გადაწყვეტილებანი დიდი წვლილია საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში.

დაჩქარების სტრატეგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის საიმედო ბაზაა.

მეთორმეტე ხუთწლედის წარმატებული შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებას — საყოველთაო-სახალხო გაქანება.

1986 წლის გეგმებს — უთუო შესრულება.

ჩანფიქრის ენერგია პრაქტიკული მოქმედების ენერგიად ვაქციოთ!

---

6 ივლისი საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკთა დღეა

ყველა რეისი — დამკვრელური

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ხომალდების ეკიპაჟებს შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წლის გეგმების ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შესრულებისათვის. შრომითს მეტოქეობაში პირველობენ ის კოლექტივები, რომლებმაც გადაწყვიტეს მეთორმეტე ხუთწლედის ორი წლის დავალებები დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის შეასრულონ.

მათ შორის გასლავთ ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი ბათუმის ნავსადგურის ყველა უბანი და ბრიგადა. აქაურმა დოკერებმა 16 ივნისისათვის უპატაკეს სამშობლოს ნახევარი წლის გეგმის შესრულება და გადაწყვიტეს წლის მეორე ნახევარში უფრო დამაჯერებელ შედეგებს მიაღწიონ.

ერთ-ერთი მოწინავეა ფლოტში ტანკერ „ქუთაისის“ ეკიპაჟი. ამ ხომალდის მეზღვაურებმა რამდენიმე შორეული რეისი განახორციელეს და წარმატებით გაართვეს თავი ყველა დავალებას.

ცნობილია, რომ პატარა გემებს, გამოცდილი ლოცმანების დახმარებით, ნავსადგურში დიდი ხომალდები შემოჰყავთ. ისინი უკვალავენ გზას და მიმართულებას უჩვენებენ გიგანტებს. ბათუმის ნავსადგურში ასეთი სამსახური დიდ და საჭირო საქმეს აკეთებს. მარტო წლის განვლილ პერიოდში ბათუმელმა ლოცმანებმა 300-ჯერ შეიყვანეს ნავსადგურში და ამდენჯერვე გაიყვანეს აქედან ვეება ტვირთმზიდი ხომალდები. ოპერატიული მოქმედებით გემების ნავსადგურში დგომის დრო 140 საათით, ხოლო გაყვანისა — 200 საათით შეამცირეს.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ეკიპაჟები კიდევ ერთ მეტად პასუხსაგებ დავალებას ასრულებენ და საკმაოდ წარმატებითაც. ისინი საწვავით ამარაგებენ ატლანტის ოკეანეში მცურავ თევზის სარეწ საბჭოთა ტრალერებს. ერთ-ერთი ასეთი რეისი დამაჯერებლად შეასრულა ტანკერმა „ქერჩმა“ და ტრალერებს 5 ათასი ტონა სათბობი ვადაზე ერთი დღით ადრე მიაწოდა. „ქერჩმა“ მებადურებს მრავალი წიგნი, კინოფილმი და, ცხადია, ფოსტაც ჩაუტანა.

ამ უკანასკნელ ხანს სახელი მოიხვეჭა ტანკერმა „ფილიპე მახარაძემ“. მისმა ეკიპაჟმა მარტო 4,5 თვეში 400 საათი დგომისა და სვლის დრო დაზოგა. ეს შესანიშნავი შედეგია.

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მუშაკები, რომლებიც ყველაფერს ლონინენ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, შრომობენ დევიზით: „ყველა რეისი — დამკვრელური!“

მ. გორგილაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.





სურათებზე: ბათუმის ნავსადგური: წუთით არ ნელდება მისი მუშაობის რიტმი; საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ერთიან საინფორმაციო გამოთვლითს ცენტრში ოპერატორი გალინა ბალაბინა და ინჟინერი ზაზა ფარეიშვილი ამუშავებენ მსოფლიოს ნავსადგურებში საქართველოს სანაოსნოს გემების ყოფნის ინფორმაციას; მამია ჯაიანი, ტარიელ ბერიძე, ოთარ აბაშიძე და მარკოზ ანთაძე (მარცხნიდან) საუკეთესო დოკერ-მექანიზატორები არიან იმ ბრიგადისა, რომელსაც რომან კობახიძე ხელმძღვანელობს.

ნ. ანასტასიევის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ხალხის ფხიზელი თვალი

ჰასუხი აგებინეს წამატებებისა და თვალის ახვევისათვის

ბაბგი მუშაობისათვის — პრემია, ცუდისთვის კი?... ამ კითხვაზე ლოგიკურ და დასაბუთებულ პასუხს, სამწუხაროდ, არაფრით არ იძლევა თბილისმრეწვეაჭრობის მუშაობის პრაქტიკა, წამატებები და თვალის ახვევა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ერთ ამკვიდრებდნენ მისი ხელმძღვანელები, საშუალებას აძლევდა თბილისმრეწვეაჭრობას არა მარტო სისტემატურად დაემახინჯებინა აწგარიშგება მთლიანად სამმართველოს მიერ საქონელბრუნვის გეგმის შესრულების შესახებ, არამედ პრემიებიც მიეცა უნაითო მუშაკებისათვის.

ეს ხდებოდა თბილისის ფოსტამტის კავშირგაბმულობის რამდენიმე განყოფილების წაყრუებითა და უშეალო დახმარებით. ყოველთვიურად სამმართველოს მაღაზიები ძველი რიცხვით აფორმებდნენ ნავაჭრის ვითომ წინა თვის ბოლო დღეებში ჩაბარების შესახებ ფულადი გადარიცხვის ქვითრებს, მაშინ როცა ნავაჭრი შეჰქონდათ რამდენიმე დღის დაგვიანებით, ზოგჯერ კი ომდევნო თვის პირველი დეკადის შემდეგაც. თბილისმრეწვეაჭრობის ცენტრალურ ბუღალტერიაში ხუთი დღის სასაქონლო-ფულად ანგარიშებს წარადგენდნენ დამდასტურებელი დოკუმენტების გარეშე, ხოლო ქვითრები, რომლებშიც ფიქციური თარიღები იყო აღნიშნული. საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა გამოავლინა თბილისმრეწვეაჭრობის მუშაობაში დაშვებული ეს და სხვა უხეში დარღვევები. აღმოჩნდა, რომ საბელმწიფოს მოტაუებაში ჩაბმული იყო თანამშრომლთა ფართო წრე — სექციებისა და მაღაზიების გამგეებითა და კავშირგაბმულობის განყოფილებათა უფროსებით დაწყებული და სავაჭრო სამმართველოს აპარატით დამთავრებული.

შემოწმებამ გამოავლინა აგრეთვე შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა უხეში დარღვევების ფაქტები. კერძოდ, აქ დამკვიდრდა შორს, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მუშაკთა მივლინების მანკიერი პრაქტიკა მათთვის შესაბამისი ხარჯების აუნაზღაურებლად, რაც ქმნიდა პირობებს სხვადასხვა ნეგატიური მოვლენებისათვის. ბევრი მუშაკი, რომლებიც მივლინებაში მიდიოდნენ, როგორც წესი, საკუთარი ხარჯით, იმედოვნებდა, რომ ამ ხარჯებს სხვა გზებით აინაზღაურებდა. დადგენილი წესის დარღვევით მათ მიერ შესყიდული საქონელი, რომელიც სწრაფად საღდება, კონვეიერით მოდიოდა მხოლოდ გარკვეულ მაღაზიებში და შემდგომშიც არ უნაწილებდნენ სხვა მაღაზიებს, რომლებიც აგრეთვე ვერ ასრულებდნენ საქონელბრუნვის გეგმას.

ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ სახალხო კონტროლის ორგანოების მიერ შემოწმებულ თბილისმრეწვეაჭრობის პრაქტიკულად ყოველ მეორე მაღაზიაში გამოვლინდა საბჭოთა ვაჭრობის წესების დარღვევები, ხოლო ყოველ მესამეში დამალული ჰქონდათ იმპორტული და დეფიციტური საქონელი.

მიღებულ დადგენილებაში საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა აღნიშნა, რომ თბილისმრეწვეაჭრობის საქმიანობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და დარღვევების მიზეზია ის, რომ მისი ხელმძღვანელები წაყრუებასა და ხელქვეითებისადმი ნაკლებ მომთხოვნელობას იჩენდნენ, ხოლო რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველო ჯეროვან კონტროლს არ უწევდნენ. უკონტროლობის და მუშობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და უხეში დარღვევების აღმოსაფხვრელად ჯეროვანი ღონისძიებების განუხორციელებლობისათვის, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა წამატებები და სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალის მიყენება, თბილისმრეწვეაჭრობის დირექტორი მ. ულუმაშვილი გადაყენეს თანამდებობიდან. ასევე დაისაჯა თბილისმრეწვეაჭრობის მთავარი ბუღალტერი ნ. კაჭკაჭიშვილი. საყვედური გამოეცხადა თბილისმრეწვეაჭრობის დირექტორის მოადგილეს ი. არჩვაძეს, სასტიკი საყვედური — თბილისის ფოსტამტის უფროსს გ. გელაშვილს. ცნობად იქნა მიღებული, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საცალო ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ზ. მხეიძე მუშაობაში დაშვებული უხეში შეცდომებისათვის განთავისუფლებულია თანამდებობიდან და გაირიცხა სკკპ რიგებიდან, ხოლო უფროსის მოადგილეს ა. კეთილაძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

შემოწმების მასალები გამოსაძიებლად გადაეცა საქართველოს სსრ პროკურატურას.

(საქინფორმი)

ჩვენში ახლა მწვავედ მიმდინარეობს ბრძოლა ლოთობისა და სპირტიანი სასმელების გადამეტებული სმის წინააღმდეგ. ამ სოციალურად საშიში ბოროტების აღმოსაფხვრელად ლანჩხუთის რაიონში მთელი რიგი ორგანიზაციული, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი ღონისძიებები ხორციელდება. ალკოჰოლზმთან ბრძოლამ მასობრივი, საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყოველ შრომითს კოლექტივში ლოთობისადმი, წესრიგის ყოველგვარი დარღვევისადმი შეუწყნარებლობის ვითარება სუფევს.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, რიდიმა მაინც გამოავლინა გულსატკივნი ფაქტები. რას იზამ, როგორც იტყვიან, თითო მახინჯს რა გამოლევს. არიან სულმოკლენი, რომლებიც ერთი ჭიქა ღვინისათვის სულს ეშმაკს მიჰყიდიან. ამ უკანასკნელ ხანს რაიონის 157 მოქალაქეს დაედო სხვადასხვა სასჯელი სიმთვრალისათვის, მოსახლეობას ჩამოერთვა 163 ცალი არყის სახდელი აპარატი, სარეალიზაციოდ გამზადებული 215 ლიტრზე მეტი შინნახადი არაყი. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან არყის შინგამომხდელები, რომლებსაც არყით სპეკულიანტობა ფულის ოღონ შოვნის წყაროდ გაუხდიათ.

მამათელ მ. ჩხაიძეს სწორედ მაშინ წაადგნენ თავს, როცა ჭაჭის გამოხდის გაწამაწიაში იყო, არაყიც ჩამოართვეს და არყის სახდელი მოწყობილობაც, მასალები ჩადენილი დანაშაულის შესახებ სახალხო სასამართლოს გადაეცა. ქ. ლანჩხუთში ცხაკაიას ქ. № 17 სახლში მცხოვრები დ. წილოსანი სწორედ მაშინ დაიკავეს, როცა მუშტარს აგულიანებდა: იყიდე, შე კაცო, სუფთა სპირტია, ცეცხლივით, წყალნარევი ხომ არ გგონია. ადგილზე ჩამოართვეს აკრძალული სითხე და პასუხისგებაში მისცეს. ასევე დანაშაულებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრეს შინნახადი არყით ფულის შოვნის „ოსტატებს“ მაჩხეარელელ კ. კუციას, ჩოჩხათელ ნ. გურგენაძეს, სუფსელ ე. ქავაშაძეს, ქ. ლანჩხუთში კალინინის ქ. № 20 მცხოვრებს ა. ჭანტურიას, რომლებიც მამასისხლად ჰყიდიდნენ თავიანთ „ნახელავს“ და ხელს უწყობდნენ რაიონში ქრონიკული ალკოჰოლიკების სიმთვრალეს. ამჟამად რაიონში 277 ქრონიკული ალკოჰოლიკია აღრიცხვაზე.

რეიდის მონაწილეებმა სოფელ ორმაღელის მცხოვრებ შ. ქარცაძეს სწორედ მაშინ წაასწრეს, როცა სპეკულაციურ ფასად გასაყიდად გამზადებული ჰქონდა 20 ლიტრი დაფასოებული თვითნახადი არაყი. იგი ცხარე ცრემლებით ატირდა, მაგრამ გვიანდა — სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა არ ასცდება.

ვამოწმებთ მიღებული დადგენილების შესრულების მიმდინარეობას

უშრომელი შემოსავლით ჯიბეს ჩასქელებენ

სიფხიზლე ცხოვრების ნორმა უნდა იყოს

„საქნავთის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში მუშაობს სამტრედიის რაიონის სოფელ გომში მცხოვრები ნ. ჟორჟოლიანი. მას თვითნახადი არაყი მუშათა სასადილოში შეჰქონდა, რეიდის მონაწილენი დახვდნენ და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი მუშაკი უხეშად არღვევს სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის წესებს. მაგალითად, ჯურუყვეთის სოფლის სასადილოში დღის პირველ საათზე მეპურე რ. კვაჭაძე და ნიკეზიანის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის მუშაკი ი. კილაძე ლუდს შეიქცეოდნენ, ხოლო მებუფეტე ს. გიგინეიშვილი კლიენტებს ამბნევებდა: „ღმერთმა ტკბილად შეგვარგოთო“. ასეთივე დარღვევები იყო სოფელ ჩიბათის სასადილოში, სადაც მებუფეტე თ. ვაჩეიშვილი, მზარეული ე. ჩხაიძე დღის პირველ საათზე ლუდით ვაჭრობდნენ. სასადილოში ფორმალურად ჩაის კუთხეც აქვთ გამოყოფილი, მაგრამ ისე, თვალის ასახვევად.

რაიონში ვაჭრობის წესების უხეში დარღვევის ფაქტებსაც წავაწყდებით. სოფელ ჯურუყვეთის შერეული საქონლის მაღაზიაში (გამგე-გამყიდველი — მ. გიგინეიშვილი) 21 აპრილს მიღებული პირსახოცები დახლქვეშ ჰქონდათ გადამალული. ქსოვილებს ფასების იარლყი არ ჰქონდა. ამავე სოფლის საკომისიო მაღაზიაში, სადაც გამგე-გამყიდველად ფ. გოგიჩაიშვილი მუშაობს, ანტისანიტარია სუფევს. ზომა-წონაშიც იტყუებიან, კლიენტებს მ. და ი. მურვანიძეებს წონაში დააკლეს ხორბალი, სხვა პროდუქტებს ფასები არ ეწერა.

სოფელ არჩეულის მაღაზიაში დიდი უწესრიგობა და ანტისანიტარიაა გამეფებული, მუშტარს ქუდი რომ შეუგდო, არ შევა, რადგან იცის 7 წლის წინათ შემოზიდული ტყემლის ვადგასულ კომპოტს შემოგთავაზებენ. ლიმონათი, მინერალური წყლები აქ იშვიათად თუ შემოაქვთ. რაც პროდუქტები აქვთ, იმაზედაც ფასები არ აწერია. ისიც უნდა ითქვას, რომ მაღაზიის გამგე-გამყიდველი, მატერიალურად პასუხისმგებელი პირი ზ. სურმანიძე ლანჩხუთელი არ არის და არც ჩაწერილია. იგი ხულის რაიონიდან მოვლინა აქაურობას.

მთელ რესპუბლიკაში განქმულია მამათისა და აცანის მშრომელთა შრომისმოყვარეობა, სადაც მრავლად არიან სოციალისტური შრომის გმირები და საქვეყნოდ ცნობილი ნოვატორები. მათ არ დაინდეს და ამხილეს ლოთები ვ. ჩხაიძე, ო. მახვილაძე, გ. ჩხაიძე, ა. მახარობლიძე, ა. კუნჭულია, ი. ჩიკაშუა, დ. ჩხაიძე, კ. ჩხაიძე, რომლებიც საქვეყნოდ გაკიცხეს და სასჯელიც დაადეს სოფლის პრესტიჟის შელახვისათვის, პირობა დაადებინეს, რომ ამიერიდან სათოფეზე არ გეკარებიან სპირტიან სასმელებს. მამათელებმა 35, აცანელებმა 41 ცალი არყის სახდელი ქვაბი ჩაბარეს სახელმწიფოს.

ავტოსაგზაო შემთხვევებს უმეტესად მთვრალი მძღოლები იწვევენ. რეიდის დროს დააკავეს ცხაკაიას სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ლანჩხუთის უბნის თანამშრომელი რ. გორგილაძე, რომელიც მთვრალი მართავდა ავტომანქანას; ასევე მთვრალი უჯდა ავტობუსის საჭეს სამოქალაქო თავდაცვის შტაბის მძღოლი გ. ხელაძე. ეს თავზეხელაღებულნი რაიონის ცენტრშიაც არ დაერიდნენ მანქანით ჯირითს. პარტიის რაიკომმა მკაცრი პარტიული სასჯელი დაადო პარტიის წევრებს ბ. კვაჭანტირაძეს, ა. გრაფის, დ. ორაგველიძეს, ა. გურგენიძეს, ბ. აფხაზავას, ვ. იმნაძეს, რომლებიც ხშირად მთვრალები მართავენ ავტომანქანის საჭეს.

ამ ბოლო დროს გამოავლინეს 36 მძღოლი, რომლებიც მთვრალები მართავდნენ ავტომანქანას. აქედან შვიდი წინათ რამდენჯერმე იყო შემჩნეული ასეთ დანაშაულში. ამიტომ ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს და მანქანები გაუყიდეს.

მთავარი მაინც დასჯა როდია. მთავარია თავიდან აციცილოთ ეს საშიში ბოროტება. ლოთობას უსაქმურები, უქნარები იტანენ, რადგან მოცალენი არიან.

რეიდის დროს ათობით მუქთახორა გამოვლინდა, რომლებიც არსად არ მუშაობენ, 215 კოლმეურნეს შრომის ნაგალდებულ მინიმუმიც კი არა აქვს გამომუშავებული და „კოლმეურნეობა“ მთელი სიკეთით კი სარგებლობს. რით არსებობს? უშრომელი შემოსავლით. ამიტომ ყოველმხრივ უნდა ვეცადოთ, რომ გზა გადავუკეტოთ უშრომელ შემოსავალს, რაც უთუოდ ხელს შეუწყობს უსაქმურთა და ალკოჰოლისტთა წინააღმდეგ ბრძოლას.

რეიდის მონაწილენი: **გ. ფაცურია** — **სახალხო კონტროლის ლანჩხუთის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, გ. ბოგუაძე** — **კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი, გ. ჟურიძე** — **შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსი, გ. რუსიძე, ბ. ბარამიძე** — **პარტიის რაიკომის ინსტრუქტორები, ლ. ორაბველიძე** — **რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგე, უ. შეწირული, გ. ბერბიჩაძე, ნ. ძნელაძე** — **რაიონული გაზეთ „კომუნისტური შრომის“ რედაქციის მუშაკები, ი. ორაბველიძე, ტ. მუვიდობაძე** — **სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო ზედამხედველები, ო. ურატაძე** — **მილიციის უბნის ინსპექტორი, ბ. ჩხაიძე** — **„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი.**

ეროვნული ურთიერთობანი და ინტერნაციონალური აღზრდა

სკკპ XXVII ყრილობა: დაჩქარების სტრატეგია

1.

კომუნისტური აღმშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში პარტიის XXVII ყრილობის ერთ-ერთი უდიდესი წვლილია ეროვნულ საკითხში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განვითარება. როგორც ნათქვამია პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში, რომელიც ყრილობამ მიიღო, თავის საქმიანობაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყოველმხრივ ითვალისწინებს საბჭოთა საზოგადოების მრავალეროვნულ შემადგენლობას. განვლილი გზის შედეგები დამაჯერებლად ადასტურებს: ეროვნული საკითხი, რომელიც წარსულისაგან შემოგვრჩა, საბჭოთა კავშირში წარმატებით გადაიჭრა.

ლენინურმა ეროვნულმა პოლიტიკამ გაუძლო ისტორიული პრაქტიკის გამოცდას. მისი შედეგები სოციალიზმის უდიდესი მონაპოვარია, რომელმაც გაამდიდრა მსოფლიო ცივილიზაცია. ერთხელ და სამუდამოდ მოისპო ეროვნული ჩაგვრისა და ეროვნული უთანასწორობის ყოველგვარი ფორმები და გამოვლინებანი. საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა შეგნებაში დამკვიდრდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა და ერთიანობა, თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება, ეროვნული კულტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა. ამასთანავე დღეს პარტია სვამს ეროვნული ურთიერთობის შემდგომი სრულყოფის ამოცანას. იგი ამით ხელმძღვანელობს, რომ ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს პირობებში, ასზე მეტი ერისა და ეროვნების შრომისა და ცხოვრების პროცესში ამ ურთიერთობის განვითარების ახალი ასპექტები, წინააღმდეგობანი და საკითხები წამოიჭრება ხოლმე, რომლებიც განპირობებულია საზოგადოებრივი პროგრესის თანამედროვე მიმდინარეობით. ამიტომ, როგორც პარტიის XXVII ყრილობისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკურ მოხსენებაში აღინიშნა, არ უნდა შეექმნათ ისეთი წარმოდგენა, თითქოს ეროვნულ პროცესებში პრობლემები აღარ იყოს. წინააღმდეგობანი დამახასიათებელია ყოველგვარი განვითარებისათვის, ისინი გარდაუვალია ამ სფეროშიც. მთავარია ვხედავდეთ ასპექტებსა და წინააგებს, რომლებიც დღენიადაგ წარმოიშვება, ვეძებდეთ და დროულად ვაძლევდეთ სწორ პასუხს კითხვებს, რომლებსაც ცხოვრება სვამს.

ეროვნული ურთიერთობის სრულყოფის მთავარ მიმართულებად გვევლინება სოციალიზმის ზოგადკანონზომიერებებზე დაფუძნებული ორი ურთიერთდაკავშირებული ტენდენცია. სკკპ პროგრამაში მკაფიოდ არის განსაზღვრული მათი არსი და ხასიათი: ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ურთიერთობისათვის დამახასიათებელია როგორც ერთა და ეროვნებათა შემდგომი აყვავება, ისე მათი განუხრელი დაახლოება, რომელიც ნებაყოფლობის, თანასწორობის, ძმური თანამშრომლობის საფუძველზე მიმდინარეობს.

სოციალიზმის იდეური მოწინააღმდეგენი ყოველნაირად ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს საბჭოთა ერების დაახლოების ტენდენცია აბრკოლებდეს ეროვნული აყვავებას. საბჭოთის მთელი ისტორიული გამოცდილება, ჩვენი სინამდვილე დამაჯერებლად უარყოფს ბურჟუაზიული იდეოლოგიის აპოლოგეტთა ყალბ კონცეფციებს: რაც უფრო მჭიდროა საბჭოთა ხალხების თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მით უფრო მატულობს თითოეული ერისა და ეროვნების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების მიღწევები. თავის მხრივ სოციალისტური ერების აყვავება მთელი საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და თავდაცვითი ძალიერების, სოციალური და სულიერი პროგრესის საწინდარია.

ამიტომ პარტია ამოცანად სახავს განმტკიცდეს საკავშირო სახელმწიფოებრიობა და ამასთანავე კიდევ უფრო გაიზარდოს რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქებისა და ავტონომიური ოკრუგების როლი საერთო-სახალხო ამოცანების გადაწყვეტაში, გააქტიურდეს ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების საქმიანობაში ყველა ეროვნების მშრომელთა მონაწილეობა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ღღენიადაგ ზრუნავენ იმისათვის, რომ ყველა რესპუბლიკის, ავტონომიური სახელმწიფო ფორმირების წვლილი საკავშირო სახელმწიფოებრიობის, ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარებაში შეესაბამებოდეს მათს გაზრდილ ეკონომიკურ და სულიერ პოტენციალს. საერთო-სახელმწიფო გადაწყვეტილების მიღებაში რესპუბლიკების გამოცდილების როლის გაძლიერების თვალსაჩინო ილუსტრაციაა მართვის ახალი ორგანოს — სახაგრომრეწვის შექმნა. მეურნეობრიობის ახალი სისტემის ელემენტების მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოსა და ესტონეთში გამოიცადა და პრაქტიკულად შემოწმდა. საკავშირო ორგანოები ღრმა დაინტერესებას იჩენენ და ღღენიადაგ უჭერენ მხარს სადარგთაშორისო საწარმოო მართვის სისტემის სრულყოფის ახლანდელ საახლესებს, რომლებიც ფოთში და თბილისის საქარხნო რაიონში დაინერგა.

საერთო-საკავშირო მასშტაბით ცენტრალიზებულ მართვასთან ადგილობრივი ინიციატივის შერწყმა პარტიას დღეს ეროვნული ურთიერთობის შემდგომი განვითარების ქვაკუთხედად მიაჩნია. ეროვნული პოლიტიკის ძირითადი მამართულებებისადმი სწორედ ასეთი მიდგომა უწყობს ხელს კეთილსინდისიერ, ეროვნული კარჩაკეტილობის, სხვათა მოიმედოობის ელემენტების დაძლევას.

2.

ერებისა და ეროვნებების აყვავებისა და დაახლოების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ქვეყნის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ფარგლებში თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდა. სოციალისტური ეკონომიკა, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ბაზად გადაიქცა, გაეფენას ახდენს ეროვნული განვითარების ყველა მხარეზე — პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ მხარეზე.

დღეს პარტია გვისახავს თვისებრივად ახალ ამოცანებს — თანამიმდევრულად გავაღრმაოთ რესპუბლიკებს შორის შრომის დანაწილება, გავათანაბროთ მეურნეობრიობის პირობები, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ახალი რაიონების ეკონომიკურ ათვისებაში, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში, სახალხო მეურნეობის პერსპექტიული დარგების შექმნაში რესპუბლიკის სპეციფიკის შესაბამისად. ყოველივე ეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

რესპუბლიკის ახლანდელ მიღწევებში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საკავშირო ორგანოების დახმარება. მაგალითად, ეკონომიკაში „ვიწრო ადგილების“ აღმოფხვრის დიდმნიშვნელოვან ბერკეტად გადაიქცა მრეწველობის ცალკეული დარგების განვითარების მიზნით ამ ბოლო წლებში დანერგული საკავშირო სამინისტროების, უწყებებისა და რესპუბლიკური სადირექტივო ორგანოების ორმხრივ ღონისძიებათა პრაქტიკა, საქართველოს სსრ მონათესავე საწარმოებისადმი მთელი რიგი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტების, მოწინავე საწარმოების მეცნიერულ-ტექნიკური შეფობა. ყოველივე ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკვანძო ამოცანების გადაწყვეტაში.

მეთორმეტე ხუთწლედში რესპუბლიკამ სამრეწველო პროდუქციის წარმოება 25 პროცენ

ეროვნული ბიბლიოთეკა
ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

● ახლა

● ევროპა

ნაჯიბის შეხვედრა

ქაბული. აპრილის რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია ავღანეთის მანამდე ჩამორჩენილი განაპირა მხარეების დაჩქარებული განვითარება, თქვა ბადახშანის პროვინციის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნაჯიბმა.

ქვეყანა, აღნიშნა მან, ამჟამად ძნელ ხანას განიცდის იმის გამო, რომ გრძელდება იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალების მიერ ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ განაღებული გამოუცხადებელი ომი. მიუხედავად ამისა, პარტია და სახელმწიფო პოლუობენ დროსა და სახსრებს დაეხმარონ დაშორებულ რაიონებს, მათ შორის ბადახშანს, და ასეთ დახმარებას კვლავაც გაუწევენ. ნაჯიბმა მოიწოდა ბადახშანის პროვინციის მოსახლეობას უფრო აქტიურად ჩაებან ბრძოლაში, რათა განახორციელონ რევოლუციური ამოცანები და გამოთქვა რწმენა, რომ კონტრრევოლუციას განადგურებენ და ავღანელი ხალხი მთელ თავის ძალებს მოახმარს ქვეყანაში ახალი სამართლიანი საზოგადოების აშენებას.

შეხვედრაზე გამოსულმა ტომთა უხუცესებმა და ბელადებმა, ბადახშანის სასულიერო წოდების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მტკიცედ დგანან რევოლუციის მონაპოვართა სადარაჯოზე, მთლიანად და სავსებით უჭერენ მხარს ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

● იტალია

ჩაიტანეს ახალი „ტომაგავკეზი“

რომი. იტალიის ქალაქ კომოზოს (სიცილიის კუნძული) შემოგარენში ამერიკის შეერთებული შტატების ბირთვულ ბაზას შეუმატა მომაკვდინებელი იარაღის ახალი პარტია. უკანასკნელ რამდენიმე დღეში აქ განლაგებული ამერიკული ფრთოსანი რაკეტების რიცხვი გაორკეცდა და 64 ერთეულს მიაღწია.

ახალი „ტომაგავკების“ მიტანა, აღნიშნავენ გაზეთები „პაეზე სერა“ და „ჯორნო“, ხდებოდა უაღრესად გასაიდუმლოებულ ვითარებაში და უსაფრთხოების უმკაცრესი ზომების დაცვით.

ახლა კომიზოში ახალი პარტიის გათვალისწინებით აქ განლაგებული 112 ფრთოსანი რაკეტიდან ნახევარზე მეტია განლაგებული.

შემთხვევა

სახიფათო ინციდენტი

რომი. მხედრიონის დანაშაულით იტალიის ცაში კინალამ მოხდა ტრაგედია. იტალიის ავიაკომპანიის „ალიტალიის“ „დს-9“ თვითმფრინავი 35 მგზავრით ჩვეულებრივ რეისს ასრულებდა პესკარ-მილანის მარშრუტით ქალაქ ანკონას მიდამოებში მდებარე ფალკონარის აეროპორტში შუალედური დაჯდომით. როცა ლინერი ანკონას მიუახლოვდა და დაშვება დაიწყო, საშიშ სიახლოვეზე მისი კურსი მოულოდნელად გადაკვეთა იტალიის სამხედრო-საჰაერო ძალების „ფ-104“ ავიაგამანადგურებელმა. ცოტაც და მოხდებოდა შეჯახება. სამხედრო ხელისუფლება მაშინათვე გაწეულ გაუდგენ მომხდარ ამბავს და განაცხადეს, რომ „მათ არაფერი იციან“. და ეს იმის მიუხედავად, რომ „დს-9“ თვითმფრინავის მეთაურმა დაჯდომისთანავე აღნიშნა ეს ინციდენტი მის მიერ წარდგენილ პატაკში და ზუსტად დაასახელა ავიაგამანადგურებლის საბორტო ნომერი. პატაკს ხელი მოაწერა ფალკონარის აეროპორტის მორიგე დისპეტჩერმაც.

● ინდოეთი

ვითარება ლიბანში

ბეირუთი. პროფკავშირების მოწოდებით ლიბანში იმართება სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციას შორის მიმდინარე შეიარაღებული შეტაკებებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის კატასტროფული გაუარესების წინააღმდეგ მიმართული საყოველთაო საპროტესტო გაფიცვა. დაზარალებულია სახელმწიფო და კერძო სექტორების ყველა დაწესებულება და საწარმო, მაღაზიები, უმაღლესი სასწავლებლები. ლიბანელები ქვეყნის ხელმძღვანელობისაგან მოითხოვენ, რომ განახორციელოს საგანგებო ღონისძიებები იმ ეკონომიკური კრახის თავიდან აცილებისათვის, რომლის ზღვარზე აღმოჩნდა ლიბანი ისრაელის აგრესიისა და უკვე 11 წლის სამოქალაქო ომის შედეგად.

ხელისუფლები განაგრძობენ დასავლეთ ბეირუთში უშიშროების უზრუნველყოფის გეგმის განხორციელებას. არმიის სპეციალური ქვეგანაყოფებისა და შინაგანი უშიშროების ძალების პატრულმა, რომელსაც თან ახლდნენ სირიელი სამხედრო მეთვალყურეები, რამდენიმე რეიდი შეასრულა ქალაქში და დახურა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ხუთი ბიურო, რომლებიც განაგრძობდნენ მოქმედებას მინისტრის კომიტეტის გადაწყვეტილების მიუხედავად.

უშიშროების საბჭოში

დაგმეს ამერიკის სახელმწიფო ტერორიზმი

ნიუ-იორკი. სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკა, რომელსაც შეერთებული შტატები ახორციელებს ცენტრალურ ამერიკაში, სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას აწყდება საერთაშორისო გაერთიანების მხრივ. ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში დამთავრებული დისკუსია, რომლის მონაწილეებმა განიხილეს ნიკარაგუის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული კურსის გაძლიერების საკითხი, რაც საფრთხეს უქმნის საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებას.

მცირე თავისუფალი სახელმწიფოს წინააღმდეგ იყენებენ ძალადატანებისა და შანტაჟის სრულიად განსხვავებულ საშუალებებს, რომლებიც დამახასიათებელია სახელმწიფო ტერორიზმის პოლიტიკისთვის, ვაშინგტონი რომ ახორციელებს, განაცხადა ლიბიის წარმომადგენელმა რაჯაბ აზარუკმა. ნიკარაგუის საზღვრების მახლობლად არ წყდება სამხედრო მანევრები, ამ ქვეყნის ტერიტორიას ჯაშუში თვითმფრინავები ზვერავენ. ჯერ კიდევ მკაფიოდ ახსოვს ყველას ნიკარაგუის საწინააღმდეგო ისეთი შეიარაღებული აქციები, როგორიცაა საზღვაო ნავსადგურების დანაღმვა, ეკონომიკური სანქციებით ნიკარაგუის რევოლუციის მოშთობის ცდები.

საბჭოს სხდომებზე გამოსულ დელეგატთა უდიდესმა უმრავლესობამ დაგმო ვაშინგტონის აღმინისტრაციის ახალი უკიდურესად საშიში ნაბიჯი — ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება სომოსელთა ბანდების დაფინანსების შესახებ, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც უაღრესად დაძაბული მდგომარეობა ცენტრალურ ამერიკის, კონგოს, ლიბიის, მადაგასკარის, გაერთიანებული არაბული საამიროების, ტრინიდადისა და ტობაგოს, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა თავი ცენტრალურ ამერიკაში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მოწესრიგების მოწინააღმდეგედ, თქვა უკრაინის სს რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ი. უდოვენკომ. ეს ნაბიჯი აშკარად ისახავს მიზნად კონტადორული ჯგუფის წინადადებათა ჩაფუშვას, რომლებიც ამ რაიონში მდგომარეობის ნორმალიზაციის სხვა პირობათა შორის ითვალისწინებენ დაძირავებულთა ფორმირებებისათვის დახმარების გაწევის დაუყოვნებელ შეწყვეტას. მან უშიშროების საბჭოს მოუწოდა განახორციელოს ცენტრალური ამერიკის ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის შესაწყვეტად გამიზნული ღონისძიებები და უზრუნველყოს ამ ხალხების თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი განვითარების უფლება.

ფოტოინფორმაცია

ალჟირი: დამოუკიდებლობის 24 წელი

◆ ალჟირელი ხალხი აღნიშნავს დამოუკიდებლობის გამოცხადების 24 წლისთავს. კოლონიზატორთა წინააღმდეგ სისხლისმღვრელ ბრძოლაში, ქვეყანაში საუკუნეზე მეტ ხანს რომ ბატონობდნენ, იშვა და განმტკიცდა ალჟირელთა გადაწყვეტილება ბოლო მოეღოთ ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმ ებისათვის და დასდგომოდნენ სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების მშენებლობის გზას. განვლილ წლებში შეიქმნა სახელმწიფო სექტორი, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ძირეული სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები განხორციელდა ხალხის ფართო მასების ინტერესების შესაბამისად.

ახალი საზოგადოების მშენებლობაში ალჟირს ფართო მხარდაჭერას უწევს საბჭოთა კავშირი. ჩვენი ქვეყნის დახმარებით აიგო ათობით სახალხო-სამეურნეო ობიექტი, მათ შორის ელ-ხაჯარის მეტალურგიული კომბინატი, ორანის მინის ქარხანა, ნავთობისა და გაზის ინსტიტუტი ბუმერდესში, ინსტიტუტი და თბოელექტროსადგური ანაბაში.

სურათზე: ალჟირის დედაქალაქის ქუჩებში.

საკ. ფოტო.

„ამერიკის ხმის“ ახალი გადამცემის მშენებლობა

ვაშინგტონი. ოფიციალური ვაშინგტონი დაუცხრომლად იღვწის „ამერიკის ხმის“ პროპაგანდისტულ-ძირგამომთხრელი რადიოცენტრების ქსელის გაფართოებისათვის.

ბოლო დღეებში აქ გამოცხადდა, რომ დაიდო შეთანხმება ანტიგუასთან, რომელიც ითვალისწინებს კარიბის ზღვის ამ კუნძულის ტერიტორიაზე 100 კილოვატი სიმძლავრის ახალი რადიოგადამცემი ცენტრის მშენებლობას. რადიოსადგურის მშენებლობისთვის ვრცელი მიწის ნაკვეთის იჯარით გაცემის შესახებ შეთანხმება დაიდო 25 წლით და შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ნახევარი საუკუნე. როგორც იუსიას დირექტორმა ჩარლზ უიკმა განაცხადა, ახალი გადამცემი სადგური „გაიფართოებს „ამერიკის ხმის“ შესაძლებლობებს მიმართოს აუდიტორიის მნიშვნელოვან ნაწილს კარიბის აუზის ქვეყნებში“. ახალი რადიოცენტრის შექმნა ხორციელდება „ამერიკის ხმის“ ფართო მასშტაბით მოდერნიზაციის ფარგლებში, რომლისთვისაც ახლანდელმა ადმინისტრაციამ 1,3 მილიარდი დოლარი გამოყო. ამ პროგრამის ფარგლებში შენდება ახალი მოკლეტალღიანი გადამცემი სადგურები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ტაილანდში და შრი ლანკაში, ბოტსვანასა და მაროკოში, კოსტა-რიკასა და ბელიზში. აპირებენ რადიოსადგურის შექმნას პუერტო-რიკოში, რომელიც, როგორც აცხადებს იუსია, „გადაცემებს აწარმოებს ლათინური ამერიკის დიდ ნაწილში“.

უკვე ახლა „ამერიკის ხმის“ გადაცემათა საერთო მოცულობა შეადგენს 3334 საათს კვირაში და წარმოებს 42 ენაზე. პროპაგანდისტულ-ძირგამომთხრელი საქმიანობის ქსელის გაფართოება ვაშინგტონს ჩაფიქრებული აქვს როგორც „ნეოგლობალიზმის“ სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი, რომელიც აცხადებს სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევის „უფლებას“.

სსრ კავშირი — მექსიკა:

თანამშრომლობის ახალი ეტაპი

— თბილისი შეხვედრამ დასაბამი მისცა საბჭოთა კავშირისა და მექსიკის მეცნიერთა თანამშრომლობის ახალ ეტაპს, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორი ქვეყნის ხალხების ურთიერთობის განმტკიცებაში, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს მექსიკის ეროვნული ავტონომიური უნივერსიტეტის პროფესორმა ფრიოლან ნ. ლობეს მარვაესმა. — გაიმართა გულახდილი საუბარი ლათინური ამერიკის თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის დაძლევის გზებზე, მექსიკის პოლიტიკური ძალების განაწილებაში ცვლილებათა პერსპექტივებზე, განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პრობლემებზე.

— მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტია, რომელშიც შედიან ქვეყნის პროგრესული ძალები, — გვითხრა პროფესორმა, — ყოველმხრივ უჭერს მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ.ს. გორბაჩოვის განცხადებაში წამოყენებულ საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს. ჩვენ დიდად ვაფასებთ ცენტრალურ ამერიკაში კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგებისათვის „კონტადორული ჯგუფის“ მოქმედების მხარდასაჭერად თქვენი ქვეყნის მეცადინეობას. ამასთან რეიგანის ადმინისტრაცია ზრდის მექსიკაზე ზეგავლენას, რათა შეაცვლევინოს მას საგარეო-პოლიტიკური კურსი, ხელს უშლის ამ რეგიონში მშვიდობიან მოწესრიგებას.

მეხიკელი მეცნიერი მონაწილეობდა საბჭოთა კავშირ-მექსიკის სიმპოზიუმში, რომელმაც 4 ივლისს მუშაობა დაამთავრა თბილისში. მოხსენებები და დისკუსიები მიეძღვნა ერთ თემას: „მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და მექსიკისა და ლათინური ამერიკის აქტუალური პრობლემები“.

მეცნიერებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი, განსაზღვრეს ორი ქვეყნის პოზიციები, რომლებიც ეხება ლათინური ამერიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პერსპექტივებს, ამ რეგიონის ქვეყნების საგარეო დავალიანების საკითხს, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობას, მექსიკის როლს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის სისტემაში.

განმარტა რა სიმპოზიუმის შედეგები, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლათინური ამერიკის ინსტიტუტის ეკონომიკის განყოფილების გამგემ პროფესორმა ლ. ლ. კლინკოვსკიმ თქვა:

— აზრთა გაზიარება უაღრესად საინტერესო და სასარგებლო იყო. საბჭოთა მეცნიერებმა ახალი მნიშვნელოვანი ცნობები მიიღეს ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. მექსიკელი კოლეგების მოხსენებები გაკეთდა უახლესი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე. და ეს არის მათში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი.

თბილისის სიმპოზიუმის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა იყო ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო დავალიანება. იგი გასცილდა წმინდა ფინანსურ ფარგლებს და საზოგადოებრივი ცხოვრების, მათ შორის მექსიკის, მთავარი საკითხი გახდა. იყენებს რა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, რეიგანის ადმინისტრაცია ცდილობს, რომ მექსიკის მთავრობამ შეუტიოს მშრომელთა ცხოვრების დონეს. ეს კი ძალზე სერიოზული ფაქტორია, რომელიც საფრთხეს უქმნის მექსიკელი ხალხის სოციალურ მონაპოვრებს. მექსიკის გაერთიანებული სოციალისტური პარტია ქვეყნის მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად გადაჭრით იბრძვის ამ მზარდი საშიშროების წინააღმდეგ. მათ მიერ შემუშავებული პროგრამა, რომლის შესახებაც სიმპოზიუმს მოახსენეს მექსიკელმა კოლეგებმა, რეალური წვლილია ამ სამართლიან ბრძოლაში.

თბილისში მიღწეულია პრინციპული შეთანხმება, რომ ასეთი შეხვედრები მომავალშიც განგრძონ. ისინი მოეწყობა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე მექსიკაში.

(საინფორმ).

ფორმალიზმი

რომ აღიკვეთოს

რედაქციას უპასუხებს საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ავტოქარხნის რაიკომის პირველი მდივანი ს. კურტანიძე:

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის ავტოქარხნის რაიონული კომიტეტის ბიუროს მიმდინარე წლის 16 მაისს თავის სხდომაზე განიხილა გაზეთ „კომუნისტის“ 15 მაისის ნომერში გამოქვეყნებული სტატია „რატომ მორიდნენ ავტორიტეტს“, რომელშიც კრიტიკულად იყო ასახული კომუნისტთა ანგარიშების მოსმენისა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცების პრაქტიკა ავეჯის კომბინატის პირველადან პარტიულ ორგანიზაციაში. ბიუროს სამართლიანად ჩათვალა და მხარი დაუჭირა სტატიაში მოცემულ შეფასებებს, აღნიშნა, რომ რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციები ქმედითს ღონისძიებებს არ ახორციელებენ კომუნისტთა ანგარიშების მოსმენისა და მათი პარტიული დახასიათებების დამტკიცების თაობაზე პარტიის რაიონული კომიტეტის 1986 წლის 7 თებერვლის დადგენილების შესრულებასთან.

სწორედ ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით იყო სჯა-ბაასი 17 მაისს, წერილის გამოქვეყნებიდან ორი დღის შემდეგ გამართულ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირზე.

ავეჯის კომბინატის პარტიულმა ბიურომ 22 მაისს სხდომაზე განიხილა „კომუნისტის“ ზემოაღნიშნული სტატია და განსაზღვრა კონკრეტული ღონისძიებანი კომუნისტთა, განსაკუთრებით ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშების მოსმენისას ფორმალიზმის აღმოფხვრის, პრინციპულობისა და მომთხოვნელობის დონის ამაღლების, დაკისრებულ უბანზე მდგომარეობისათვის თითოეულის პასუხისმგებლობის გაზრდისათვის. ბიუროს ა. ხუციძისა და ჯ. კობახიძის პარტიული დახასიათებების მომზადების საქმეში დაშვებული ხარვეზებისათვის მკაცრად გააფრთხილა დახასიათებათა პროექტების წინასწარ მოსამზადებელი ჯგუფის წევრები, ხოლო პარტიული ბიუროს მდივანს ნ. ხუხუას — მიუთითა.

შაზარი

ქველას

საზრუნავია

ჩვენი გაზეთის 27 აპრილის ნომერში დაიბეჭდა კრიტიკული წერილი „მხოლოდ სინდისის სიიაფე“, რომელიც თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში არსებულ ნაკლოვანებებს ეხებოდა. ამის გამო თბილისის საბჭოს აღმასკომის საკოლმეურნეო ვაჭრობის გაერთიანების უფროსი **ო. გელაშვილი** გვწერს:

გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული კრიტიკული წერილი განვიხილეთ საკოლმეურნეო ვაჭრობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე და მკაცრი შეფასება მიეცა ნაკლოვანებებს, რომელთა შესახებაც გაზეთშია ლაპარაკი. კრებაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა იმ მუშაკების საქმიანობაზე, რომელთა სამოქმედო უბნებშიც გამოვლინდა საკოლმეურნეო ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

ამასთან დაკავშირებით ბრძანებით სასტიკი საყვედური გამოეცხადათ ცენტრალური საკოლმეურნეო ბაზრის კონტროლიორებს ო. გოგრიჭიანს, ო. გუგავას, ბ. ჯანგოლეს, დ. თოდაძეს, შ. მუსურიძეს; კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრის კონტროლიორებს რ. შელეგიას, ს. ნიაზოვს, ო. ტყეშელაშვილს, ვ. სეხნაშვილს და ი. კუტუბიძეს. ასევე საყვედური გამოეცხადათ ნავთლულის საკოლმეურნეო ბაზრის კონტროლიორებს ჯ. კნაზიანს, მ. შეტიტაშვილს და ა. იბრაგიმოვს. კრებაზე მკაცრად იქნენ გაფრთხილებული საკოლმეურნეო ბაზრების დირექტორები და ყველა თანამშრომელი, რათა მომავალში არ დაუშვან ვაჭრობის წესების დარღვევის ფაქტები.

დედაქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში დისციპლინისა და მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით შემუშავებულია სათანადო ღონისძიებათა გეგმა.

* * *

წერილის გამო რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2652 ავტოკოლონის ხელმძღვანელობა შემდეგს გვატყობინებს:

ავტოკოლონის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები განხილია მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ, რომელზეც მკაცრი შეფასება მიეცა მძღოლების გ. სტეფანაშვილისა და მ. ალიევის უდისციპლინო საქციელს. ასევე მკაცრად ვიმსჯელეთ II და III რაზმის უფროსების გ. ჯოხაძისა და ვ. რეხვიაშვილის საქმიანობაზე, რომლებმაც შეასუსტეს კონტროლი მათდამი დაკვეთილებარებული რაზმების მძღოლთა საქმიანობისადმი.

მძღოლები გ. სტეფანაშვილი და მ. ალიევი განთავისუფლებული არიან სამუშაოდან. სასტიკი საყვედური გამოეცხადათ რაზმის უფროსებს გ. ჯოხაძისა და ვ. რეხვიაშვილს, საყვედური გამოეცხადა ექსპლოატაციის უფროსს ვ. ნატროშვილს.

კრიტიკა

სამართლიანია

გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი წერილი „პრობლემა მწვავეა, საქმე ერთობლივი მეცადინეობით უნდა მოგვარდეს“ ეხებოდა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით მოსახლეობასთან ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ და მასობრივ-სპორტული მუშაობის ორგანიზების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებს.

საქართველოს საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე **გ. დოლიძე** რედაქციას ატყობინებს:

— თქვენს გაზეთში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საცხოვრებელ ადგილას მოხალეობასთან ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობის დაბალ დონეს და ამ საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, სამინისტროს კოლეგიამ განიხილა, სამართლიანად ცნო გაზეთის კრიტიკა და ამასთან დაკავშირებთ მთელი რიგი ღონისძიებები დასახა. მიღებულია ვრცელი და კონკრეტული დადგენილება, რომლის შესრულება უზრუნველყოფს ამ სფეროში მუშაობის გაუმჯობესებას.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ დაუყოვნებლივ და ფართოდ უნდა გაიშალოს საცხოვრებელ ადგილებში ფიზიკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობა. ამ მიზნით კოლეგიამ დამტკიცა სპეციალური გეგმა, რომელიც ითვალისწინებს 1986-1987 წლებში ადგილებზე სპორტული მოედნების ნორმალური ტექნიკური პირობებით უზრუნველყოფის ღონისძიებებს, ახალი სპორტული მოედნების მშენებლობას, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების გამართვას, სასარდაფო და სხვა გამოთავისუფლებული ნაგებობების გამაჯანსაღებელი მუშაობის გაშლისათვის გამოყენებას და სხვა ღონისძიებებს.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ ბევრი სახელმოხვეჭილი სპორტსმენის სახელობის კლუბების მუშაობა მიშვებულია და ფორმალური ხასიათისაა და, რაც მთავარია, რესპუბლიკაში არ არის შექმნილი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომბინატები. კოლეგიაზე გადაწყდა, რომ ყველა საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციაში გამოყოს ფიზკულტურული მუშაობის ინსტრუქტორ-მეთოდისტთა და პედაგოგ-ორგანიზატორთა შტატები, ამასთან უნდა გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები მათთვის მუშაობის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

კოლეგიის დადგენილება ითვალისწინებს სხვა მრავალი საკითხის მოგვარებასაც და თითოეული მათგანის რეალიზაციისათვის კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებები გვაქვს განზრახული. კოლეგიაზე გადაწყდა ისიც, რომ უახლოეს დროში ზემდგომ ორგანოებში შეიტანოთ წინადადებები საცხოვრებელ ადგილებში მოსახლეობასთან ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით შემუშავებულია პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია მთელი რიგი ისეთი საკითხები, ჩვენმოვა გადაწყვეტა ამ დარგში სამინისტროს მუშაობას გაცილებით სიხლსლავსეს გახდის.

შეკითხვა-

ბისათვის

დაისაჯნენ

კომუნისტის“ 31 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით „ბენზინის დამტაცებლები“, რომელიც საქართველოს მაგისტრალური ნავთობსადენების სამმართველოს სისტემაში უკანონობას ეხებოდა. ამის გამო სამმართველოს უფროსი თ. წერეთელი რედაქციას ატყობინებს:

ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების შეტყობინებისთანავე შეიქმნა კომისია სამმართველოს უფროსის მოადგილის გ. სარჯველაძის თავმჯდომარეობით, რომელსაც დაევალა შეემოწმებინა ქვიანის ავტოკოლონაში ბენზინისა და სხვა საპონი მასალების ხარჯვის კანონიერება. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს კონტროლიორ-რევიზორი და ლანჩხუთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების ოპერრწმუნებული.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა სააღრიცხვო დოკუმენტაციის მასალების ჩამოწერის არასწორი ფაქტები, რომლის მიზანი იყო ყალბი დოკუმენტების შედგენის გზით ბენზინის მითვისება და კერძო პირებისათვის მიყიდვა. შემოწმების მასალების საფუძველზე ქვიანის ავტოკოლონის უფროსი ჯ. ნარსია განთავისუფლებულია თანამდებობიდან და მისი საქმე გადაეცა საგამოძიებო ორგანოს. უფროს დისპეტჩერს ე. ჩოკურს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, ტექნოლოგიური ტრანსპორტისა და სპეციალურ-მანქანების საამქროს უფროსი ვ. ბულიგინი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

მოკლედ

● **ტოკიო.** 1600-მა მეცნიერმა, რომლებიც იაპონიის მეცნიერების ერთ-ერთ ცენტრში — ქალაქ ცუკუბაში მუშაობენ, განაცხადეს, რომ არ ეთანხმებიან „ვარსკვლავეთის ომების“ ავბედით ამერიკულ პროგრამას, რომელიც კოსმოსურ სივრცეში გამალებული შეიარაღების გავრცელების საფრთხეს ქმნის.

● **ქაბული.** ავღანელ დუშმანთა ბანდებისათვის დახმარების შეწყვეტა და ტომთა დასახლების ზონიდან კონტრრევოლუციური ნაძირალების გაძევება მოითხოვეს პაკისტანის ხელისუფლებისაგან პუშტუნთა ხოეიზის ტომის წარმომადგენლობითი ჯირგის მონაწილეებმა. იგი პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისპირა პროვინციის ვარსაკის რაიონში გაიმართა.

● **ბუენოს აირესი.** შვიდი ათასი კაცი დაიღუპა, 50 დაიჭრა და თითქმის ათასი დაკარგულია. ასეთია არასრული შედეგი რეპრესიებისა, რომლებიც პინოჩეტის ხუნტამ თავს დაატეხა დიქტატურის წინააღმდეგ საერთო-ეროვნული საპროტესტო გაფიცვის მონაწილეებს.

„ალიანსი“ — „ალიანსი“

ბერლინი. „ალიანსი“ — „ალიანსი“ — ასეთ ლოზუნგს ატარებენ ბერლინელ ბავშვებს ბერლინის ბანაკებში ჩასვლისას. ეს ბანაკები ბერლინელ ბავშვებს ეძლევა

ხელოვნება მუშურ მწყობრში

ფესტივალის მონაწილეებს გულთბილად შეხვდნენ ქუთაისელი ავტომშენებლები.

ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა ს. ბითიაშვილმა ძვირფას სტუმრებს გააცნო ქარხნის დღევანდელობა და პერსპექტივები.

საოპერო სცენის ოსტატებმა ინტერესით დაათვალიერეს საამქროები, სადაც მიმდინარეობს უნიკალური დანიშნულების სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება, შემდეგ აგრეგატული კორპუსის წითელ კუთხეში გაიმართა იმპროვიზებული კონცერტი.

შეკრებილთა წინაშე წარსდგნენ დიდი თეატრის სოლისტი ი. მოროზოვი, საქართველოს სახალხო არტისტი ე. გეწაძე, კომპოზიტორი ნ. გაბუნია, ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ჭურღულია.

— ჩვენ დიდი მადლობელი ვართ ამ კონცერტისა და საერთოდ ფესტივალის ორგანიზატორებისა, — თქვა ჩვენთან საუბარში სააგრეგატო კორპუსის შემკეთებელ-ზეინკალმა, კომკავშირის პრემიის ლაურეატმა ა. სირაძემ, — ვიმედოვნებთ, რომ ეს მუსიკალური ფესტივალი, რომელიც მჭიდროდ შეკავშირდება ქართული საოპერო მუსიკის სათავეებს, ბიჭვინთისა და თელავის ფესტივალების მსგავსად ტრადიციად დამკვიდრდება.

ჩვენ უაღრესად მადლობელი ვართ შესანიშნავი მომღერლის ე. ობრაზცოვისა, რომელმაც აღგვთქვა აუცილებლად გვეწვიოს შემდეგში და აქვე, ამ საამქროში გამართოს კონცერტი, სადაც მან დღეს, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო სიმღერა ვერ შეძლო.

ასეთი შეხვედრები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვეზიაროთ მშვენიერებას, დიდ ხელოვნებას, ჩვენთვის, უბრალო მშრომელებისათვის დიდი სტიმულია.

დ. გელენიძე,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჯილდო მეცნიერს

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორს ვახტანგ ბერიძეს მიენიჭა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია. ეს ჯილდო მეცნიერმა დაამსახურა ორი წიგნისათვის — „ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილი ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში“, რომელიც რუსულ და ფრანგულ ენებზე გამოუშვა გამომცემლობა „მეცნიერებამ“, და „მე-16-18 საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება“ (პირველი ტომი), რომელიც გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ“.

ამ შრომებს დიდი მეცნიერული ღირებულება აქვთ. პირველ პრემირებულ წიგნში განსაზღვრულია რელიეფ, რომელიც ტაოკლარჯეთის სამთავრომ შეასრულა სრულად საქართველოს ჩამოყალიბებაში, მოცემულია ამ ტერიტორიაზე განლაგებული ძეგლებისა და როგორც საქართველოს სხვა რაიონებში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში მდებარე ანალოგიურ ნაგებობათა შედარებითი ანალიზი.

მეორე პრემირებული წიგნი საქართველოს გვიანი ფეოდალური ეპოქის არქიტექტურული ძეგლების დიდი გამოკვლევაა. აქ პირველად არის წარმოდგენილი სრული მასალა, რომელიც შეიცავს არა მარტო რელიგიურ, არამედ საერო შენობებს, თავდაცვითს ნაგებობებს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიის მინიჭება თვალსაჩინო მეცნიერის დამსახურების აღიარებაა, რომელმაც მთელი ძალ-ღონე მოახმარა ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებას.

ვახტანგ ბერიძე არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც ქართული ხელოვნების მგზნებარე პროპაგანდისტია. ამას მოწმობს მისი შესანიშნავი გამოსვლები ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო შეხვედრებსა და სიმპოზიუმებზე, რომლებიც ეწყობა საზღვარგარეთ და თბილისში, და რომელთა წყალობით ქართული ხელოვნება სულ ახალ-ახალ თაყვანისმცემლებს იძენს.

ამას წინათ ვახტანგ ბერიძე კვლავ მოგვევლინა საინტერესო მოსაუბრად შესანიშნავად ილუსტრირებული ალბომის „ძველი თბილისის“ შესავალ სტატიაში.

ვახტანგ ბერიძის შრომები გამოცემულია უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბელგიაში, იუგოსლავიაში... ახლა მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ქართული ხელოვნების ისტორიის მრავალტომეულის შესადგენად, რომლის მთავარი რედაქტორი და მნიშვნელოვანი ნაწილის ავტორია მეცნიერი.

ამ დღეებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვახტანგ ბერიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლითაც დააჯილდოვა. (საინფორმი).

შეხვედრები ანტრაქტში

„ხაი ქიევ“, საქართველოს!“

„კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი გაშინსკი

გევრი შესანიშნავი მსახიობია ჩვენი დედაქალაქის სტუმრის — კიევის ივანე ფრანკოს სახელობის ლენინის ორდენოსანი უკრაინული სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის კოლექტივში. სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი გაშინსკი უფროს თაობას ეცუთვნის, იმათ რიცხვშია, ვინც თავისი ოსტატობით ნათელი ფურცლები შემატა უკრაინული თეატრის ისტორიას. თითქმის ორმოცი წელია აქ არ დადგმულა ასე თუ ისე მნიშვნელოვანი სპექტაკლი, რომელშიც არკადი გაშინსკის ტალანტს არ გაებრწყინოს. ამ სიტყვების სისწორეში დაგვეთანხმებიან ყველანი, ვინც უკვე ნახა უკრაინელთა საგასტროლო წარმოდგენები, კერძოდ — არკადი გაშინსკის მიერ შესრულებული როლები.

— მაგრამ ახლა ისეთ რამეს გეტყვით, — იღიმება ა. გაშინსკი, — რომ შეიძლება გაგიკვირდეთ: თუ კი მართლა რაიმე გამიკეთებია მშობლიური თეატრის სცენაზე, დაკავშირებულია დიდებულ ადამიანთან და რეჟისორთან, ჩემს უსაყვარლეს მასწავლებელთან დიმიტრი ალექსიძესთან, რომელიც თითქმის ათი წელი იყო ჩვენი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი რეჟისორი. მე იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელშიც ასე ყოფილიყოს შერწყმული კეთილშობილური პიროვნული თვისებები დიდ შემოქმედებასთან. სპექტაკლები: „ტერეზას დაბადების დღე“, „ანტიგონე“, „დონ სეზარ დე ბაზანი“, „ურიელ აკოსტა“, „ხსოვნა გულისა“ და სხვები, ჩვენი თეატრის ისტორიას რომ ამშვენებენ, სწორედ დიმიტრი ალექსიძის ნიჭისა და ფანტაზიის წყალობაა, მაგრამ ამ ადამიანმა იმის მაგალითიც მოგვცა, თუ როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ ჩვენი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, სწორად ვაფასებდეთ ერთმანეთის ეროვნულ თვისებებს, გვქონდეს კარგის ხედვის უნარი. მე ახლოს ვიყავი მასთან და როდესაც საქართველოში დაბრუნდა, მეგობრობა მერეც არ შეგვიწყვეტია...

— როდის მოხვედით თეატრში?

— 1948 წელს... ეპიზოდური როლებით დავიწყე... მალე კი მთავარი როლიც ვითამაშე — იბრაგიმი „უგრიუმ მდინარეში“... მერე გლოსტერი „მეფე ლირში“... დღესდღეობით, ძირითადად, პედაგოგიურ სამუშაოზე ვარ — კურსს ვხელმძღვანელობ კიევის ი. კარპენკო-კარის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში. იქ რამდენიმე წლის წინათ დავდგი „ანტიგონე“, რომელიც დმიტრი ალექსიძეს მივუძღვენი. მაშინ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ჩემი მასწავლებელი...

— ქართულ თეატრზე რას იტყვით?

— მხოლოდ სასიკეთოს. მე კარგად ვიცნობ თქვენი ბრწყინვალე მსახიობების აკაკი ხოროავას, აკაკი ვასაძის, სერგო ზაქარიაძის ხელოვნებას. ვიცნობ რუსთაველის თეატრის აღორძინდილ სპექტაკლებს (ო, როგორ მიიღეს „ბახტრიონი“ კიევში!) და, რაღა თქმა უნდა, ახლანდელ „კავკასიურ ცარცის წრეს“ და „რიჩარდ III“-ეს. „ცარცის წრე“ მაინც საოცარია. ეს არა მარტო ბრეხტია, არამედ საქართველოც. ასეთი პლასტიკა, ასეთი იმპროვიზაცია, ალბათ, მხოლოდ ქართველებს შეიძლება ჰქონდეთ....

ძალიან მიყვარს თქვენი ფილმები, განსაკუთრებით კომედიები. ვფიქრობ, უკრაინელმა კინემატოგრაფისტებმა ბევრრამ შეიძლება ისწავლონ ქართული კინოს ოსტატებისაგან. მეტი რა გითხრათ... „ხაი ქიევ“, საქართველოს!“.

ესაუბრა
ვ. მაღლაკელიძე.

სურათზე: საგასტროლო სპექტაკლის „ძია ვანოს“ სცენა. სერგბრიაკოვის როლში — სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი გაშინსკი.

ნ. ბორიკოს ფოტო.



ДЕВЕВАНДЕЛИ ЕОМРИС СТУМАРИ

სიკეთის ნათელი

ანუ პორტრეტი 50 წლის დრამატურგისა, რომელსაც მოულოდნელად თოჯინები შეუყვარდა

შეუყვარდა ისე, რომ ახლა, ალბათ, ვეღარაფერი ჩამოაცილებს რეზო გაბრიაძეს ამ რომანტიკულ, ეგზოტიკურ სამყაროს — უზრტი ფანტაზიით, წვითა და დაგვით შექმნილ მარიონეტების თეატრს, ალფრედსა და ვიოლეტას, ხეჩოსა და გენერალ დე ფანტიეს... ფაქტებიც სახეზეა: მას უკვე 10 წელიწადია ალფაფერი დაუწერია კინოსათვის, ერთგან აცხადებს: „ძნელია კინოსა და თოჯინების შეთავსება, თანაც, ეტყობა, კინო ახალგაზრდების საქმე უფროა“.

წარმოიდგინეთ, ამ ზნის მერე გიორგი დანელიას მაინც ვერ „უღალატა“ და ეს ცნობილი კინორეჟისორი სულ მალე დაამთავრებს ორსერიიან ფილმს რეზო გაბრიაძის სცენარის მიხედვით.

— რაზეა ეს ფილმი?

— ფანტასტიკური კინოკომედიაა, კოსმოსში ხდება მოქმედება, ჯერჯერობით „ქინ-ძა-ძა“ ჰქვია...

— და ამით მორჩა თქვენი ურთიერთობა კინემატოგრაფთან?

— დიდი დრო მიაქვს თეატრს და ამიტომ ვეშვიბ სხვა რამისთვის მოვიცალო...

... ვსხედვართ მის „კაბინეტში“ — ერთიცაქანა ოთახში, რომელიც, ეტყობა, თეატრის კოლექტივის საყვარელი თავშესაყრელია. კედლიდან ცნობილი „მაწანწალა“ — ჩარლი ჩაპლინი შემოგვცქერის. განვლილ წლებს ვიგონებთ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას ბევრს ეგონა, რომ რეზო გაბრიაძე — მომავალი ჟურნალისტი, მაინც საბოლოოდ მხატვრობას აირჩევდა პროფესიად. მის მშვენიერ გრაფიკულ ნაშუშერებს, შარჟებს ხშირად ენახულობდით უნივერსიტეტის გაზეთში.

მხატვრობით, ქანდაკებით გატაცება ბავშვობიდან მოდიოდა: მშობლიურ ქუთაისს რომ იგონებს, იქვე აუცილებლად ჩამოაგდებს ხოლმე სიტყვას ვალერიან მიზანდარზე — შესანიშნავ მოქანდაკესა და ადამიანზე, ცნობილ მხატვარ დმიტრი თაყაიშვილზე. ამათგან ერთმა ქანდაკების საიდუმლოს აზიარა, მეორემ სცენოგრაფია შეაყვარა.

იმთავითვე შრომისმოყვარეობითაც გამოირჩა. გალაღებული ყმაწვილკაცობა არ ჰქონია და ამან ფიზიკურ შრომასაც მიაჩვია, შემოიარა გუმათაესი და სიქთარვის ღვინის ქარხანა, მღებავადაც მუშაობდა მშენებლობებზე... ეს ყველაფერი კი მოგვიანებით მარიონეტების თეატრის მშენებლობაზე გამოადგა.

შემოქმედებაში ხომ მართლაც ბევრს მიაღწია შრომისმოყვარეობით. თორმეტი წლის განმავლობაში მისი სცენარებით ოცდაათამდე სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი კინოსურათი გადაიღეს, დაიდგა პიესები, დაწერა ლიბრეტო ოთარ თაქთაქიშვილის ოპერისათვის „პირველი სიყვარული“, თვითონ დადგა ფილმი „კავკასიური რომანსი“...

— ბოლო სცენარისა ორი ათასი გვერდი მაინც გადავყარე, საოცდაათიღა დარჩა დაწურული და გაკეთებული...

იგი რეჟისორებს ჭირვეულობასაც აღვილად ეგუება. იცის, ელდარ შენგელაიასა და გიორგი დანელიასთანა რეჟისორები მხოლოდ ფილმის სასიკეთოდ თუ „ჩაერევიან“ სცენარისტის საქმეში. ეს უკვე პროფესიონალიზმია, საქმის კეთების ხელოვნებაა. მარიონეტების თეატრში ყველას ჩაუნერგა პროფესიონალის თვისებები რეზო გაბრიაძემ, უამთვისებოდ ვერც ვერავინ გაჩერდება კოლექტივში. თვითონ კი ალექსანდრე კაპლერისგან ისწავლა, მისი პედაგოგი რომ იყო მოსკოვის უმაღლეს სასცენარო კურსებზე. იქ, სწავლის პერიოდში დაწერა მან ვრცელი მოთხრობა — ელდარ შენგელაიას მომავალი ფილმის „არაჩვეულებრივი გამოფენის“ თავწყარო.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი, კინორეჟისორი ელდარ შენგელაია მოგვითხრობს:

— მაშინ ფილმისთვის ლიტერატურულ მასალას ვეძებდი, ისეთი ვერაფერი შევარჩიე, მე რომ მსურდა და უმაღლეს სასცენარო კურსებს მივაკითხე. ვიცოდი, იქ რამდენიმე ქართველი სწავლობდა და იმნი ბევრ ამბავ ჰქონდათ-მეთქი. მართლაც, წავიკითხე ნამუშევრები და რეზო გაბრიაძის მოთხრობაზე შევჩერდი. მე მასში მოეხილა სევდაშერეულმა იუმორმა, თავისებურმა, არაჩვეულებრივმა ხელწერამ.

რეზო გაბრიაძე მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული კაცია. გახსოვთ, ალბათ, იგი ჩინებული ჟურნალისტი იყო, სახვით ხელოვნებაში ბევრს მუშაობს და, ალბათ, როდესმე გამოაფენს კიდეც თავის ნაწარმოებებს; წერს სატელეფილმო „პირველი რეისი“. 10.35 — რუსული მეტყველება. 11.05 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.25 — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ანსამბლის „მანსუდეს“ კონცერტი. 12.00 — ჩოგბურთი. 13.00 — კალათბურთი. 13.40 — კინოაფიშა. 14.35 — მულტფილმები. 15.10 — გვიამბობენ ჩვენი კორესპონდენტები. 15.40 — ფილმ-კონცერტი. 16.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 16.35 — „მიზანი, რომელიც სიცოცხლეზე მეტია“. მეთექვსმეტე სერია. 17.30 — მე-9 სტუდია. 18.30 — კეთილი ნების ასპარეზობა. 20.45 — „ძილი ნებისა, პატარებო!“, 21.00 — კეთილი ნების ასპარეზობა. 22.00 — „ვრემია“. 22.45 — მხატვრული ფილმი „დასაწყისი“.

„კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება სსრ კავშირის სახალხო არტისტი არკადი გაშინსკი



ბევრი ფიქრობს, ეძებს, ეძებს, ეძებს, ... ბევრ ... ...